ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №86/გ

ქ. მცხეთა 10 ივნისი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 05 ივნისის N438 ბრძანების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ შპს „ქართლი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გ. რუბაშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 არმაზის დასახლებაში, არმაზის ქ. N2-ში სტიქიის შედეგად დაზიანებული N7 კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია სამუშაოების შესყიდვა. (CPV45200000).

2. სამუშაოს შესარულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 6990 (ექვსიათასცხრაასოთხმოცდაათი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.3 სამუშაოების დამთავრებიდან შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების ვადაა 5 (ხუთი) წელი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
მცხეთის მუნიციპალიტეტი
ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
ს/კოდი: 236094196
სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე
გ. ატაშვილი

მიმწოდებელი
შპს „ქართლი"
მის: ქ. თბილისი,ვარკეთილის 3,3ამ/რ,333კ,ბ23
ს/კოდი: 206139542
სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი
ტელ: 599569875
ლიბერთი კოდი: BAGAGE22
ა/ა GE83BG0000000886085101
დირექტორი
206139542
გ. რუბაშვილი